ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6797454

ნომერი: AR11004013

თარიღი : 04.12.2023

გაცემის თარიღი : 11.12.2023

გაცნობის თარიღი : 11.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ს. ჩიქოვანის ქ. N26;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 4 დეკემბერს №AR11004013 განცხადებით მომართა მარიამ პაპუკაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 1

დეკემბრის №6785843 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ს. ჩიქოვანის ქ. №26-ში მდებარე №01.14.14.006.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 1 დეკემბრიდან 2027 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში, მესაკუთრე(ები)ს გრაფაში შპს "ურბანუს მზიურის" (ს/ნ: 445725831) ნაცვლად დაფიქსირდა ამირან ფირცხელანი (პ/ნ: 01024065798).
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, №01.14.14.006.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, როგორც სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანების გამოცემის დროს, ისე დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენდა/წარმოადგენს შპს "ურბანუს მზიური" (ს/ნ: 445725831).
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ №AR1942663 განცხადებით, შპს "ურბანუს მზიურის" (ს/ნ: 445725831) წარმომადგენლის მარიამ პაპუკაშვილის მიერ მოთხოვნილ იქნა, ქ. თბილისში, ს. ჩიქოვანის ქ. №26-ში მდებარე №01.14.14.006.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაცია, მათ შორის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (განცხადების რეგისტრაცია: №892023264542; მომზადების თარიღი: 15/11/2023 წ.).
სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში, მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში, მესაკუთრე(ები)ს გრაფაში, მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის შპს "ურბანუს მზიურის" (ს/ნ: 445725831) ნაცვლად, ავტომატურად აისახა რუკაზე მონიშნული მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრე ამირან ფირცხელანი (№AR1942663 განცხადების რეგისტრაციის დროს არსებული (31.12.2022წ.)). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში, მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში, მესაკუთრე(ები)ს გრაფაში დაფიქსირდეს შპს "ურბანუს მზიური" (ს/ნ: 445725831).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებაში და ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში, მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში, მესაკუთრე(ები)ს გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მესაკუთრე(ები): შპს "ურბანუს მზიური" (ს/ნ: 445725831).".
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 1 დეკემბრის №6785843 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.